საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
იგრძენი მომავალი

„საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიას გაყიდვების კონსულტანტის პოზიციაზე

გაყიდვების კონსულტანტი სერვისცენტრის მომხმარებლებს უწევს კონსულტაციას დისტანციური არხების (ინტერნეტტერმინალი, Express Pay-ს გადახდის აპარატი და ბანკომატი) შესახებ და ეხმარება მათი გამოყენებისას.

სამუშაო განრიგი: 10:30-18:00 სთ; 13:00-21:00 სთ

ანაზღაურება: ფიქსირებული 300 ლარი, დამატებით ყოველთვიური ბონუსი, რომელიც განისაზღვრება გაყიდვების შედეგების შესაბამისად.

ძირითადი მოვალეობები

- სერვისცენტრში შემოსულ მომხმარებლებთან პირველადი გასაუბრება, პროდუქტების შეთავაზება და კონსულტაციის გაწევა, საჭიროების შემთხვევაში გადამისამართება;
- დისტანციურ საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებასთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა;
- რიგების მართვა; რიგში მდგარი მომხმარებლებისთვის დისტანციური სერვისების (ინტერნეტბანკი, Express Pay-ს გადახდის აპარატი ან ბანკომატი) შეთავაზება.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები

განათლება: სტუდენტი ან ახალკურსდამთავრებული;

სამუშაო გამოცდილება: სასურველია, მაგრამ არასავალდებულო, მომსახურების და/ან გაყიდვების სფეროში მუშაობის გამოცდილება.

აუცილებელი ცოდნა და უნარები

- ენების ცოდნა: ქართული სრულყოფილად, სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
- მომსახურებისა და გაყიდვების უნარები;
- კარგად განვითარებული კომუნიკაციური უნარები – აზრის ცხადად და გამართულად გამოხატვის უნარი;
- გამოხატული ყურადღება დეტალების მიმართ, შესრულების სისწრაფე, მათემატიკური უნარები, კარგი მეხსიერება, ორგანიზებულობა, პრეზენტაბელობა.

შერჩევის პროცესი

- პირველადი გადარჩევა – რეზიუმეში და/ან ბანკის სააპლიკაციო ფორმაში ფიქსირებული მონაცემები;
- მეორე ეტაპი – ჯგუფური სიტუაციური თამაში („ქეისის“ განხილვა);
- მესამე ეტაპი – ინდივიდუალური გასაუბრება;
- მეოთხე ეტაპი – ტრენინგი.

როგორ გამოვგზავნოთ რეზიუმე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებს გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი რეზიუმე და/ან „საქართველოს ბანკის“ სააპლიკაციო ფორმა ელექტრონული ფოსტის მისამართზე: **salesvacancy@bog.ge** **2015 წლის 15 აპრილის ჩათვლით.**

დავუკავშირდებით მხოლოდ იმ კანდიდატებს, ვინც წარმატებით გაივლის პირველადი გადარჩევის ეტაპს.

იგრძენი მომავალი – შემოგვიერთდი!

პერსონალის შერჩევის გუნდი
პერსონალის დაგეგმვისა და შერჩევის სამსახური | საქართველოს ბანკი
ტელ.: (0 32) 2 444 444 (ext.: 4422) | ელფოსტა: inforecruit@bog.ge
ვებგვერდი: jobs.bog.ge